# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №489

2014 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

## „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, 25/11/2010, მუხლი 2185) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების №3 დანართის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. მე–6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზების ნუმერაცია:

| ორგანოების დასახელება | მოკლე ნომრები |
|---|---|
| საქართველოს პარლამენტი | 141 |
| საქართველოს მთავრობა | 151 |
| საქართველოს სამინისტროები | 1400-1409, 1500-1509 |
| საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური | 144 |
| აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. უმაღლესი საბჭოები | 142 |
| აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. მთავრობები | 143 |
| აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. სამინისტროები | 1450-1459 |
| სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები | 146 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 1471 |

| | |
|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 1472 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლები | 1474 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური | 1551 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახური | 1555;<br><br>(1552-1554, 1556-1559 გაფორმების ეკონომიკური ზონები) |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო | 1480 |
| საქართველოს მთავრობის რეზერვი | 1481-1489, 149, 152, 154, 156-159“. |

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**

**დანართი**

**1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრები (კოდები)**

| | 1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების (კოდების) პირველი და მეორე ციფრები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | № | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| | 1 | | სახანძრო-<br>სამაშველო<br>სამსახური | შ.ს.ს. რეზერვი | საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი ტექ. დახმარება | საქართველოს პარლამენტი | საქართველოს მთავრობა | | | | |
| | 2 | | გადაუ<br>დებელი დახმარების ევრონო<br>მერი | საპატრულო პოლიცია | ტაქსის გამოძახება | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. უმაღლესი საბჭოები | საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | |
| | 3 | | სასწრაფო სამედი<br>ცინო დახმარება | შ.ს.ს. რეზერვი | ტრანსპორტის (აეროპორტები, ავტოსადგურე-ბი, რკინიგზის სადგურები, საზღვაო პორტები, ადგილობრივი საზოგადოებ<br>-რივი ტრანსპორტის) | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. მთავრობა | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოსდაც-ვითი ზედამხედველო- | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მოძრაობის საინფორმაციო -საცნობარო სამსახურები | | ბის დეპარტამენ-ტი | | | | |
| | 4 | | გაზის საავარიო სამსახური | შ.ს.ს. რეზერვი | რეზერვი | საქართველოს აღმასრულე-ბელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახური (რეზერვი) | საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | რეზერვი | |
| 1 XX (XXX) ფორმატის მოკლე ნომრების (კოდების) მესამე ციფრი | 5 | საოპერატორო კომპანიების არჩევის პრეფიქსული კოდი | კომუნალური მეურნეობის (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, სანიაღვრე მეურნეობა) საავარიო სამსახურები | საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტ-როს სსიპ - დაცვის პოლიცია | რეზერვი | აჭარის და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა.რ. სამინისტროები | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური და სსიპ - შემოსავლების სამსახური | მოკლე ნომრები არაავტორიზებადი საქმიანობისათვის | მოკლე ნომრები ავტორიზებადი საქმიანობისათვის | | რეზერვი |
| | 6 | | საზოგადოებრივი მომსახურება (ევრონომერი) | შსს-ს გენერა-ლური ინსპექცია | რეზერვი | სახელმწიფო რწმუნებული-ების - გუბერნატო-რების ადმინისტრაციე-ბი | საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | |
| | 7 | | საქართველოს მთავრობის რეზერვი | შ.ს.ს. რეზერვი | რეზერვი | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლები | | | | | |
| | 8 | | გაერთიანებ. საინფორმ-საცნობარო (ევრონომერი) | შ.ს.ს. რეზერვი | რეზერვი | 1480 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო<br>1481-1489 საქართველოს მთავრობის რეზერვი | | | | საფოსტო კავშ. ოპერატორების საინფორმაციო სამსახური | |
| | | | ელექტრონული კომუნიკაციების | | | საქართველოს | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | საოპერატორო კომპანიების სამსახურების რეზერვი | შ.ს.ს. რეზერვი | რეზერვი | მთავრობის რეზერვი | | | | რეზერვი.“ | |
| | 0 | | ელექტრონული კომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების საავარიო და საინფორმაციო-საცნობარო სამსახურ. | შ.ს.ს. რეზერვი | ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოების ცხელი ხაზები | საქართველოს სამინისტროები | საქართველოს სამინისტროები | | | | |